საია ბათუმში კონსტიტუციის დღეს აღნიშნავს

24 აგვისტოს (13:00 საათზე) საქართველოს კონსტიტუციის დღეს (კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს), ქალაქ ბათუმში, სასტუმრო "ინტრურისტებში" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღნიშნავს კონსტიტუციის დღეს.

12 წლის წინ მიღებულმა კონსტიტუციამ დემდე მრავალი ცვლილება განიცადა. მიუხედავად ამისა მისი მეორე თავი რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება უცვლელი დარჩა.

საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციის დაცვის უმაღლესი გარანტია

საქართველოში გადავიდა ქალაქ ბათუმში. ჩვენ, აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას საკონსტიტუციო სასამართლოსთან, რათა ქვერყანაში დაცული იყოს ადამიანის უფლებები.

მიღებაზე მოწვეულები არიან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, სახალხო დამცველი, პარალამენტის იურიდიული კომიტრეტის თავმჯდომარე, აჭარის უმაღლერსი საბჭოს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლლები.